

შპს „გრინ კლიმატი“
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს „გრინ კლიმატი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31/12/20 19	31/12/20 18
ფინანსური მდგომარეობა		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	327465	354692
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	776026	531385
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	283845	0
მარაგები	2021845	1141996
მზა პროდუქცია	1454517	1058673
სხვა	567328	83323
სხვა არამატერიალური აქტივები	1413	1926
ძირითადი საშუალებები	90563	54505
სულ აქტივები	3501157	2084504
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	112462	415523
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	4251	1000
საგადასახადო ვალდებულებები	52282	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	228665	443041
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	914847	902426
სხვა ვალდებულებები	2187491	368365
სულ ვალდებულებები	3499998	2130355
საკუთარი კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1159	-45851
სულ საკუთარი კაპიტალი	1159	-45851
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3501157	2084504
სულ მოკლევადიანი აქტივები	1387336	886076

საქმიანობის შედეგები

	31/12/20 19	31/12/20 18
საქმიანობის შედეგები		
ამონაგები	2627431	1703257
გაყიდვების თვითღირებულება	-1836381	-1282195
საერთო მოგება	791050	421062
დასაქმებულთა ანაზღაურება	-282706	-217622
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-28705	-25663
საპროცენტო ხარჯი	-105051	-91683
იჯარის ხარჯი	-16512	-21153
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-65224	-94571
სულ საოპერაციო ხარჯები	-498198	-450692

შპს „გრინ კლიმატი“
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

საოპერაციო მოგება	292852	-29630
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-50982	33988
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი		
ოპერაციებიდან	241870	4358
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	241870	4358
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	241870	4358
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-45851	-50209
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-194860	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1159	-45851

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/20 19	31/12/20 18
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-27227	91190
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-27227	91190
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	354692	263502
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	327465	354692

შპს „გრინ კლიმატი“ -ს ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „გრინ კლიმატი“ (კომპანია) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საიდენტიფიკაციო კოდით 404909765 .

კომპანიის იურიდიული მისამართი არის ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, მ. თამარაშვილის ქ. №13ა, კორპ. №2, ბინა №132.

ფაქტიური მისამართი ქ. თბილისი მარშალ გელოვანის 13

კომპანიის დირექტორი და 100% წილის მფლობელია დავით კვეტენაძე 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კლიმატ კონტროლის და წყლის სისტემებით ვაჭრობა და მომსახურება.

2. მომზადების საფუძველი

ზოგადი ინფორმაცია

კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის დაშვებით, რომ კომპანია წარმოადგენს მოქმედ საწარმოს და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება წარდგენილ პერიოდზე.

ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტა წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში წარმოებული ოპერაციების ასახვა ბუღალტრულ ანგარიშგებაში ხორციელდება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული კურსით. საანგარიშო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის

ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ხარჯი, თუ არის ამის აუცილებლობა.

ძირითადი საშუალების ერთეულის თვითღირებულება მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი 20%

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები 20%

სატრანსპორტო საშუალებები 20%

არამატერიალური აქტივი

კომპანიას აქვს ბალანსზე რიცხული არამატერიალური აქტივი, ბუღალტრული პროგრამა „ორისი“ და „1 C“, რომლიც აღებულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები მოიცავს ფულს საღაროში და ფულს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომელიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ვალდებულებები გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით.

ბანკის სესხები

საბანკო სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის მიწოდებიდან ან მომსახურების გაწევიდან მაშინ აღიარდება, როცა კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს, რომელის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

ხარჯების აღრიცხვა

ხარჯები აღიარდება თუ მოსალოდნელია საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელის დაკავშირებული არაა მესკუთრეზე გაცემულ განაწილებებთან. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალი ანგარიშგებაში.

დირექტორი

დავით კვეტენაძე

